

ინტერნეტ ოლიმპიადა 2014

I ტური

სამოქალაქო განათლება

პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელში. ტესტის მაქსიმალური ქულაა: 20

დავალება N1. თუ ბაზარზე უამრავი მყიდველი და ერთი გამყიდველია და ფასებს ის აწესებს, რა ეწოდება ასეთ მდგომარეობას?

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 1]

- ა. ოლიგოპოლია
- ბ. მონოპოლია
- გ. კონკურენცია
- დ. სრულყოფილი კონკურენცია

დავალება N 2. სრულყოფილი კონკურენციის დროს ბაზარზე არის:

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 1]

- ა. ერთი მყიდველი და მრავალი გამყიდველი
- ბ. მრავალი მყიდველი და ერთი გამყიდველი
- გ. რამოდენიმე მყიდველი, რომლებიც შეთანხმებულად მოქმედებენ
- დ. მრავალი მყიდველი და მრავალი გამყიდველი

დავალება N 3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია არამართებული წინადადება?

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 1]

- ა. მოქალაქე არის მოქალაქეობის უფლების მქონე, სამართლებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მონაწილე, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებისა და მოვალეობის მქონე ადამიანი.
- ბ. საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველო
- გ. საქართველოს მოქალაქეთა უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, თავის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, იცავს საქართველო
- დ. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქეც.

დავალება N 4. შეიძლება თუ არა საქართველოს მოქალაქეს ჩამოერთვას მოქალაქეობა?

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 1]

- ა. შეიძლება;
- ბ. შეიძლება, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით;
- გ. არ შეიძლება;
- დ. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აიდინა დანაშაული

დავალება N 5. ჩამოთვლილთაგან რომელ ტერმინს უკავშირდება მოცემული სურათი?

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 1]



- ა. კონკურენცია
- ბ. ამნისტია
- გ. პერსონა
- დ. მოქალაქეობა

დავალება N 6. დასასათაურეთ სურათი.

[დავალების მაქსიმალური ქულაა 2]



პასუხი:

დავალება N 7. „პატრიოტიზმი – ღირებულებაა. ამ ღირებულებას იზიარებდნენ ადოლფ ჰიტლერიცა და რუზველტიც“

განმარტეთ, თქვენი აზრით რა არის ღირებულება?

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 4]

პასუხი:

დავალება N 8. როგორ გესმით მოცემული გამონათქვამის მნიშვნელობა?

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 4]

ხასიათი არის ის, რაშიც გამოიხატება ადამიანის ნებისყოფა. ამიტომ ხასიათს ვერ გამოხატავს ისეთი ქმედებები და სიტყვები, რომელშიც არ ჩანს, თუ რას ესწრაფვის და რას გაურბის ადამიანი.

არისტოტელე

დავალება N 9. დააკვირდით სურათს და გამონატეთ თქვენი მოსაზრება მოცემული საკითხის ირგვლივ. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

[დავალების მაქსიმალური ქულაა: 5]



გამოყენებული ლიტერატურა:

სამოქალაქო განათლება – თამარ მეიფარიანი

სამოქალაქო განათლება – ნინო ტალახაძე